ახალი კორონავირუსის შემოტანის და გავრცელების აღკვეთის მიზნით აეროპორტებში ჩამომსვლელი მგზავრების სკრინინგის პროტოკოლი

მომზადდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურთან კოორდინაციით

26 იანვარი 2020

პროტოკოლის მიზანი: ახალი კორონავირუსის შემოტანის და გავრცელების აღკვეთის მიზნით აეროპორტებში ჩამომსვლელი მგზავრების სკრინინგი.

პროტოკოლის დანერგვის აუცილებლობა:

2019 წლის 31 დეკემბრიდან ჩინეთის ქალაქ ვუჰანში დაფიქსირდა უცნობი კორონავირუსით გამოწვეული შემთხვევები, რომელთა ნაწილი დასრულდა სიკვდილით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 24 იანვრის რეკომენდაციების თანახმად ყველა ქვეყანამ უნდა განიხილოს აეროპორტებში ჩამომსვლელი მგზავრებისთვის სიმპტომებზე გამოკითხვით და ტემპერატურის გაზომვით სკრინინგის დაწყება.

წარსული გამოცდილება (მძიმე მწვავე რესპირატორული ვისურუსის ეპიდემია SARS) მიუთითებს, რომ დაავადების გავრცელების ალბათობა უფრო მაღალია აეროპორტში, ვიდრე უშუალოდ ფრენისას. აეროპორტში ინფიცირების პოტენციური გზები შემდეგია:

1. გაფრენამდე: აეროპორტში მიმავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას; სარეგისტრაციო დახლთან მოლოდინისას; გასასვლელთან მოცდისას; თვითმფრინავში ასვლამდე ავტობუსით მგზავრობისას ან "ტრაპში" გასვლისას;

2. თვითმფრინავიდან ჩამოსვლისას: პასპორტის და საბაჟო კონტროლის გავლისას; ბარგის ასაღებ დარბაზში მოცდისას; აეროპორტიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ვირუსის გავრცელების რისკის შემცირების მიზნით მოგზაურებისთვის აეროპორტში სხვადასხვა პუნქტში მოლოდინის პერიოდის მინიმუმამდე შემცირება (ზოგადი რეკომენდაცია).

სკრინინგის პროცედურები

სამიზნე ჯგუფი:

მგზავრები, რომლებიც ჩამოფრინდნენ ჩინეთიდან (1) პირდაპირი ან (2) ტრანზიტული რეისით

(3) სხვა ნებისმიერი მოგზაური, რომელიც საქართველოში ჩამოფრინდა სხვა ქვეყნიდან ჩინეთის გარდა.

სკრინინგის პროცედურები:

ჩამოფრენის შემდეგ

1. თვითმფრინავის ბორტის დატოვების შემდეგ საპასპორტო კონტროლის პოსტთან მისვლამდე აეროპორტში ეწყობა სკირინინგის პოსტი. სკრინინგის ჯგუფში შედიან (ა) შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი - ეპიდემიოლოგი. ბ) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელი. გ) სასაზღვრო პოლიცია. ხდება ჩინეთიდან ჩამოსული ყველა მგზავრის თერმოსკრინინგი დისტანციური თერმომეტრით. პირდაპირი რეისის დროს შესაძლოა ნეიტრალურ ზონაში იდენტიფიცირება. ამასთან აღსანიშნავია, რომ საპასპორტო კონტროლის პოსტამდე მგზავრთა იდენტიფიცირება, რომ ის დასენიანებული რეგიონიდანაა, განსაკუთრებით კი, ტრანზიტულ რეისებზე, ზოგჯერ შეუძლებელია.
2. თერმოსკრინინგის შედეგი დადებითია, თუ მოგზაურს უფიქსირდება ტემპერატურა 38^{0}C და მეტი. ყველა მოგზაური 38^{0}C ან მეტი ტემპერატურით გადამისამართდება მეორადი სკრინინგისთვის - ჩაღრმავებული ინტერვიუს და სიმპტომების შეფასების მიზნით. მეორად სკრინინგს ატარებს შემოსავლების სამსახურის ეპიდემიოლოგი. ეპიდემიური რისკის გათვალისწინებით სკრინინგში მონაწილეობისთვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს დამატებით საექიმო პერსონალის მობილიზების აუცილებლობას, საჭიროების შესაბამისად.
3. მეორადი სკრინინგი მოიცავს ინტერვიუს სიმპტომებისა და მოგზაურობის ისტორიის დაზუსტების მიზნით. უნდა გამოიკითხოს:
    - მძიმე, მწვავე რესპირატორული ინფექციის ნიშნები (ცხელება დადასტურებული თერმოსკანირებით ან კონტაქტური თერმომეტრიზაციით, ხველა, განისაზღვროს სამედიცინო დახმარების საჭიროება)
    - იმყოფებოდა (მოგზაურობდა ან ცხოვრობდა) თუ არა სიმპტომების დაწყებამდე 14 დღით ადრე ვუჰანში (ჰუბეის პროვინცია, ჩინეთი).

მდგომარეობა უნდა შეფასდეს, როგორც „შესაძლო შემთხვევა“ თუ გამოხატულია მძიმე, მწვავე რესპირატორული ინფექციის ნიშნები მ.შ. ცხელება 38^{0}C, ხველა **და სიმპტომების დაწყებამდე 14 დღით ადრე, მოგზაურობდა ან ცხოვრობდა ვუჰანში (ჰუბეის პროვინცია, ჩინეთი).**

4. ინფორმაცია ყველა შესაძლო შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ გადაეცემა სასწრაფო დახმარების სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრის გადაყვანას ინფექციურ საავადმყოფოში. შეტყობინება შესაძლო შემთხვევის იდენტიფიკაციისთანავე ასევე გადაეცემა სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს;
5. „შესაძლო შემთხვევის“ გადაყვანა აეროპორტიდან სასწრაფო დახმარების მანქანამდე უნდა მოხდეს საერთო დარბაზებში მისი მოხვედრის გარეშე; თუ მგზავრს აღმოაჩნდა ტემპერატურა და სიმპტომები, ხდება მისი იზოლირებულად გადაყვანა. აღნიშნულ შემთხვევაში საპასპორტო

კონტროლს გაატარებს მესაზღვრე პოლიციელი, რის შემდეგაც სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები ჩაიყვანენ საევაკუაციო გასაყვანიდან, სადაც პერონზე დახვდება სასწრაფოს დახმარების მანქანა და გაიყვანს აეროპორტის ტერიტორიიდან კლინიკაში. ყველა კონკრეტულ აეროპორტში უნდა არსებობდეს იზოლირებული გადაყვანის შესაბამისი სქემა;

6. თუ მგზავრი არ შეესაბამება „შესაძლო შემთხვევის“ განსაზღვრებას, ინფორმაციის შეგროვების შემდეგ გადის საპასპორტო კონტროლს და ტოვებს აეროპორტს;

მოგზაურების საინფორმაციო უზრუნველყოფა

ჩინეთიდან ჩამოსულ ყველა მგზავრს საბაჟო კონტროლის გავლისას ურიგდება საინფორმაციო ბროშურა (დანართი 2, “ინფორმაცია მოგზაურთათვის”) რეკომენდებული თავდაცვის ღონისძიებების შესახებ.

სხვა მგზავრები: დამატებითი სიფრთხილის ზომებისთვის (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება დამოუკიდებლად), ან შემთხვევის კვლევის შედეგების შესაბამისად, დკსჯეც განახორციელებს იმ მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების ზედამხედველობას, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც “კონტაქტები”. დკსჯეც და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრები განახორციელებენ ზედამხედველობით ქმედებებს ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები 2005-ისა და ეროვნული რეკომენდაციების შესაბამისად. სხვა შემთხვევაში დამატებითი ზედამხედველობა არ ხორციელდება.

მონაცემთა შეგროვება

ქვემოთ აღნიშნული მონაცემები გაეგზავნება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ფორმებით (დანართი 1) შემდგომი დამუშავებისთვის და გამოიყენება ეპიდზედამხევდელობის სისტემის შეფასებისთვის, რომელსაც აწარმოებს ცენტრი.

სასაზღვრო პოლიცია ამოწმებს პასპორტს, ახდენს ინტერვიუირებას, რისკ ფაქტორის დადგენის შემდეგ ამისამართებს შემოსავლების სამსახურის ეპიდემიოლოგთან, რომელიც 112-ის თანამშრომელთან ერთად ამოწმებს და იღებს ანამნეზს. ინფორმაცია შეგროვების შემდეგ ეგზავნება შემოსავლების სამსახურის ფიტო, ვეტ სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსს და მოადგილეს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.

1. თერმოსკრინინგს დაქვემდებარებულ მგზავრთა რაოდენობა;
2. მ.შ. მეორადი სკრინინგის რაოდენობა;
3. მ.შ. შესაძლო შემთხვევათა რაოდენობა;
4. მ.შ. რამდენს გაუკეთდა რეფერალი;
5. შეტყობინების დროულობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში;
6. ეპიდკვლევის დროულობა;
7. ეპიდკვლევის სისრულე - ფორმები შევსებულია სრულად;
8. შესაბამისი რეისის მგზავრთა და ეკიპაჟის საკონტაქტო ინფორმაცია;

ახალი კორონავირუსის შემოტანის და გავრცელების აღკვეთის მიზნით აეროპორტებში მგზავრების ჩამოსვლისას სკრინინგის ეტაპები



დანართი 1.

ინფორმაცია 2019-nCov დაზარალების ზონიდან ჩამოსული მგზავრების მეთვალყურეობის შესახებ

ივსება საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტის შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებელი პირის მიერ და შემდგომი 24 საათის მანძილზე წარედგინება სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ელექტრონულად, მისამართზე: episurv@ncdc.ge; a.kasradze@ncdc.ge; g.chakhunashvili@ncdc.ge.

1. შემოსული ტრანსპორტის სახეობა:

2. ოპერატორი კომპანია:

3. გამოფრენის ადგილი:

4. გამოფრენის თარიღი:__ __(რიცხვი)__ __(თვე)_ _ _ _(წელი); _ _საათი (AM, PM - გახაზეთ შესაბამისი)

5. ჩამოსვლის თარიღი:__ __(რიცხვი)__ __(თვე)_ _ _ _(წელი); _ _საათი (AM, PM - გახაზეთ შესაბამისი)

6. ფრენის საერთო ხანგრძლივობა: _ _საათი, _ _წუთი.

7. ადამიანთა საერთო რაოდენობა მგზავრობისას:

8. მ.შ. ეკიპაჟის წევრთა რ-ობა:

9. თერმოსკრინინგს ექვემდებარებოდა: _____ (რაოდენობა)

10. თერმოსკრინინგი ფაქტიურად გაიარა:__ __ __ (რაოდენობა)

11. მ.შ. ტემპერატურა 38^{0}C და მეტი დაუფიქსირდა: __ __ __ (რაოდენობა)

შენიშვნა: თუ პუნქტი 11-ში სიდიდე აღემატება 38.0-ს, თითოეულზე წარმოდგენილი უნდა იყოს „2019-nCov დაზარალების ზონიდან ჩამოსული მგზავრის ინდივიდუალური ფორმა“.

შევსების თარიღი:

პასუხისმგებელი პირი:

2019-nCov დაზარალების ზონიდან ჩამოსული მგზავრის ინდივიდუალური ფორმა

ივსება საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტის შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებელი პირის მიერ, იმ მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებზე, რომელთაც თერმოსკანირებისას გამოუვლინდათ სხეულის ტემპერატურა 38.0C და მეტი. ფორმა შემდგომი 24 საათის მანძილზე წარედგინება სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ელექტრონულად, მისამართზე: episurv@ncdc.ge; a.kasradze@ncdc.ge; g.chakhunashvili@ncdc.ge.

1. შემოსული ტრანსპორტის სახეობა:

2. გამოფრენის ადგილი:

3. გამოფრენის თარიღი:__ __(რიცხვი)__ __(თვე)_ _ _ _(წელი); _ _საათი (AM, PM - გახაზეთ შესაბამისი)

4. ჩამოსვლის თარიღი: __ __(რიცხვი)__ __(თვე)_ _ _ _(წელი); _ _საათი (AM, PM - გახაზეთ შესაბამისი)

5. ფრენის საერთო ხანგრძლივობა: __ __საათი, __ __წუთი.

6. მოქალაქეობა:

7. საცხოვრებელი ადგილი:

7.1. საკონტაქტო ტელეფონი საქართველოში ყოფნისას:

8. აღენიშნება სიმპტომები (შემოხაზეთ შესაბამისი):

ა) ხველა - დიახ არა;

ბ) სუნთქვის გაძნელება - დიახ არა;

გ) ქოშინი - დიახ არა;

დ) ტემპერატურა: _ _,_ 0 C;

შენიშვნა: თუ ა)ბ)გ) პუნქტებიდან რომელიმეში პასუხია - დიახ, შემთხვევა განსაზღვრეთ, როგორც 2019-nCov -შესაძლო და გამოიძახეთ 112.

თუ ა)ბ)გ) პუნქტების პასუხია - არა, შემთხვევა უკუაგდეთ, გადაეცით მგზავრის სამახსოვრო და გაისტუმრეთ შემდეგი სასაზღვრო პროცედურებისთვის.

საბოლოო კლასიფიკაცია (შესაბამის უჯრაში ჩასვით თოლია) განისაზღვრა როგორც:

შესაძლო 2019-nCov	
უკუგდებულია	

შევსების თარიღი:

პასუხისმგებელი პირი:

დანართი 2.

რა უნდა გააკეთონ საერთაშორისო მოგზაურებმა ახალი კორონავირუსისგან (2019-nCov) საკუთარი თავისა და სხვების დასაცავად?

რეკომენდაციები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წამსვლელთათვის

- მოერიდეთ ავადმყოფ ადამიანებთან კონტაქტს;
- მოერიდეთ ცხოველებთან კონტაქტს (მკვდარი, ცოცხალი); ცხოველთა ბაზრებს, ფერმებს, ცხოველურ პროდუქტებს (თერმულად არასაკმარისად დამუშავებული ხორცი);
- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, ხოლო მათზე ხელმისაწვდომობის არქონის შემთხვევაში გამოიყენეთ ალკოჰოლის შემცველი სადეზინფექციო საშუალება;

თუ უკვე იმოგზაურეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში გამოგივლინდათ შემდეგი სიმპტომები:

- ✓ მაღალი ტემპერატურა,
- ✓ ხველა,
- ✓ სუნთქვის გაძნელება

მაშინ:

- ➢ დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს;
  - *ქ. თბილისი "ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/კ ცენტრი";*
  - *ქ. ქუთაისი "ლჯ და კომპანია";*
  - *ქ. ბათუმი "ბათუმის ინფექციურ სნეულებათა შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი";*
  - *ქ. ზუგდიდი "ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო";*
- ➢ აცნობეთ ექიმს თქვენი მოგზაურობისა და სიმპტომების შესახებ;
- ➢ მოერიდეთ სხვა ადამიანებთან კონტაქტს;
- ➢ არ იმოგზაუროთ ავადმყოფობის პერიოდში;
- ➢ დაიფარეთ პირისა და ცხვირის მიდამო ცხვირსახოცით ან ტანსაცმლის სახელოს გამოყენებით (და არა ხელით) ცემინების და ხველის დროს;
- ➢ ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, ხოლო მათი არქონის შემთხვევაში გამოიყენეთ ალკოჰოლის შემცველი სადეზინფექციო საშუალება;

სიმპტომების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ:

15 05 *(24/7 განმავლობაში) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;*

116 001 *(ორშაბათი-პარასკევი, 10:00-17:00) სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;*

+995 599 65 05 85 *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, კონსული ბ-ნი ჟენ იენკანგი.*

What can travelers do to protect themselves and others?

Travelers to People's Republic of China should:

- Avoid contact with sick people.
- Avoid animals (alive or dead), animal markets, and products that come from animals (such as uncooked meat).
- Wash hands often with soap and water for at least 20 seconds. Use an alcohol-based hand sanitizer if soap and water are not available.

If you traveled to People's Republic of China and experience following symptoms within last 2 weeks:

- ✓ **fever**
- ✓ **cough**
- ✓ **difficulty breathing**

you should:

- Seek medical care right away. Before you go to a doctor's office or emergency room, call ahead and tell them about your recent travel and your symptoms.
  - *Tbilisi – "Infectious diseases, AIDS and clinical immunology research center"*
  - *Kutaisi – "LG & Co."*
  - *Batumi – "Batumi Infectious diseases, AIDS and TB regional center"*
  - *Zugdidi – "Zugdidi Infectious diseases hospital"*
- Avoid contact with others.
- Not travel while sick.
- Cover your mouth and nose with a tissue or your sleeve (not your hands) when coughing or sneezing.
- Wash hands often with soap and water for at least 20 seconds. Use an alcohol-based hand sanitizer if soap and water are not available.

In case you experience the above-mentioned symptoms please call:

15 05 *(24/7) Ministry of Internally Displaced Persons from Occupied Territories, Health, Labor and Social Affairs*

116 001 *(Monday to Friday, 10:00-17:00) National Center for Disease Control and Public Health*

(telephone # of Chinese embassy) – *For information on Chinese*

+995 599 65 05 85 *Embassy of the People's Republic of China in Georgia, Consul Mr. Ren Yangang.*

旅行者如何保护自己和他人？

中国旅客应：

- 避免与病人接触。
- 避免与动物接触、前往活禽市场、食用生肉等产品。
- 经常用肥皂和水洗手至少20秒。如没有肥皂和水，请使用酒精洗手液。

如果您去过中国并且在2周内出现以下症状：

- ✓ 发烧
- ✓ 咳嗽
- ✓ 呼吸困难

您应该：

- ➢ 立即就医。在去医院或急诊室之前，请提前打电话告诉医生您最近的旅行情况和症状。
  - *祖格迪迪传染病医院。祖格迪迪。*
  - *LG与公司—格鲁吉亚西部结核病与传染病中心。库塔伊西。*
  - *传染病、艾滋病与临床免疫学研究中心。第比利斯。*
  - *巴统传染病、艾滋病与结核病区域中心。巴统。*
- ➢ 避免与他人接触。
- ➢ 生病时不要旅行。
- ➢ 咳嗽或打喷嚏时，用纸巾或袖子（而不是手）遮住口鼻。
- ➢ 经常用肥皂和水洗手至少20秒。如没有肥皂和水，请使用酒精洗手液。

如果出现上述症状，请致电：

15 05（24/7）难民、卫生、劳动和社会事务部

116 001（周一至周五，10:00-17:00）格鲁吉亚国家疾控中心

+995 599 65 05 85 中华人民共和国驻格鲁吉亚大使馆，任领事。